



2020 და 2021 წლების
ანგარიშგებების განხილვის
პროცესები

სარჩევნი

- 1 დოკუმენტის შესახებ
- 2 სუბიექტების მიერ წარდგენილი ან/და გასაჯაროებული ანგარიშგებების შერჩევის კრიტერიუმები
- 2 ზოგადი საკითხები, რომლებიც აქტუალურია ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის
- 3 დამატებითი საკითხები, რომლებზეც გამახვილდება ყურადღება 2020 და 2021 წლების ფინანსური ანგარიშგების განხილვისას
- 3 სუბიექტების მიერ წარდგენილ ან/და გასაჯაროებულ ანგარიშგებებში შეუსაბამობების გამოვლენა და მათი გასწორება
- 3 კომუნიკაცია ზედამხედველობას/რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტების ანგარიშგებასთან დაკავშირებით



დოკუმენტის შესახებ

დოკუმენტი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სუბიექტების, მათი მომსახურე აუდიტორების, მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოებისა და ანგარიშგებებით დაინტერესებული პირების საყურადღებოდ.

კანონის მე-20 მუხლის, 3 პუნქტის ნ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახური უზრუნველყოფს წარმოდგენილი ანგარიშგებების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და საჭაროობას.

რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, სამსახურმა 2020 წლიდან დაიწყო წარმოდგენილი ანგარიშგებების შინაარსობრივი განხილვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს სტანდარტებთან და მსს ფასს სტანდარტთან) შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ამ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია იმ პრიორიტეტების და მიდგომების შესახებ, რასაც სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს 2020 და 2021 წლების ანგარიშგებების განხილვისას.

დოკუმენტში ასევე აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამსახური სუბიექტების მიერ წარდგენილ და გასაჭაროებულ ანგარიშგებებს, მათი განხილვის მიზნით და რა პროცესის გავლა იქნება მიზანშეწონილი სუბიექტებისთვის აღმოჩენილი ხარვეზების გასასწორებლად.

მაღალი ხარისხის ანგარიშგების წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სუბიექტები ყურადღებით გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, გააანალიზონ და გაითვალისწინონ ანგარიშგების მომზადების პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ბირჟაზე მოვაჭრე სუბიექტებისთვის აუდიტის კომიტეტის სრულფასოვანი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

აღსანიშნია, რომ Reportal.ge-ზე გამოქვეყნებული სდპ-ების, I, II და III კატეგორიის სანარმოების ანგარიშგებები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ანგარიშგებების შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მესამე მხარეების მხრიდან მეტი ნდობის მოსაპოვებლად. ასევე, მსგავსი ფასეულობის მქონე ინფორმაციამ, ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას უნდა შეუწყოს ხელი.



სუბიექტების მიერ წარდგენილი ან/და გასაჯაროებული ანგარიშგების შერჩევის კრიტერიუმები

აღნიშნული კრიტერიუმები ეყრდნობა რისკზე დაფუძნებულ მიდგომას კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და შეიძლება შეიცვალოს წლიდან წლამდე სამსახურის/სხვა მარეგულირებელი ან საზედამხედველო ორგანოების მიერ შეფასებული რისკების ფარგლებში დადგენილი პრიორიტეტებიდან გამომდინარე:

- გასულ პერიოდში განხილვის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობა.
- ფინანსური ანგარიშგებები, რომელთა აუდიტი ჩატარებულია აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც არ აქვს გავლილი აუდიტის ხარისხის მონიტორინგი;
- აუდიტის ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში შერჩეული გარიგებებით მოცული ანგარიშგებები;
- აუდიტორული დასკვნის შინაარსიდან იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობები;
- თვალშისაცემი შეუსაბამობა მმართველობით ანგარიშგებას, ფინანსურ ანგარიშგებასა და დაკავშირებულ დოკუმენტებს შორის;
- განმარტებითი შენიშვნების თვალშესახები სიმწირე;
- ანგარიშგების წარდგენა წესის დარღვევით;
- გასული პერიოდების მონაცემების (შესადარისი მონაცემების) გადაანგარიშება (restate ment);
- ანგარიშგების ძირითადი ფორმების, განმარტებითი შენიშვნებში მოცემული რიცხვების ურთიერთაცდენა;
- სხვადასხვა პერიოდზე მომზადებულ ანგარიშგებებს შორის შეუსაბამობები;
- ძირითადი კოეფიციენტების მნიშვნელოვანი გადახრა საშუალო დარგობრივი მონაცემებისგან;

აქტუალური საკითხები

სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგების განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

ანგარიშგებაში გასამულავნებელი ძირითადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

- სუბიექტის მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირი; ბასს-ის 138-ე პარაგრაფის გ პუნქტი და ბასს 24-ის მე-13 პარაგრაფი;
- იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს - ჯგუფის სტრუქტურა და შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი; ბასს 27-ის მე-16 პარაგრაფის ბ პუნქტი და ფასს 12-ის ბ2-ბნ პარაგრაფები.

ძირითადი ფინანსური ანგარიშგებები, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

- სააღრიცხვო პოლიტიკების არსებობა ანგარიშგების ყველა არსებითი მუხლისთვის;
- აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან და განმარტებითი შენიშვნებთან;
- სუბიექტის მიერ გამოყენებული არსებითი განსჯა და შეფასებები;
- აქტივების გაუფასურება და სამართლიანი ღირებულების შეფასება;
- ფინანსური რისკების განმარტებითი შენიშვნების სისრულე და რელევანტურობა.

COVID-19 პანდემიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფუნქციონირებადი საწარმოს განმარტებითი შენიშვნას. COVID-19 პანდემიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენასთან დაკავშირებით, გთხოვთ იხილოთ სამსახურის მიერ გამოშვებული **სახელმძღვანელო მითითება**.



დამატებითი საკითხები

სამსახურის მიერ 2020 და 2021 წლების ფინანსური ანგარიშგების განხილვისას დამატებით ყურადღება გამახვილდება სტანდარტებზე, რომლებიც აქტუალურია COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
- ბასს 36 - აქტივების გაუფასურება;
- ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.

ასევე, ხშირად გამოვლენილი შეუსაბამობებიდან გამომდინარე სამსახური ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ სტანდარტებზე:

- ფასს 16 - იჯარა
- ბასს 16 - ძირითადი საშუალებები;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
- ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- ბასს 2 - მარაგები.

სუბიექტების მიერ წარდგენილ ან/და გასაჯაროებულ ანგარიშგებებში შეუსაბამობების გამოვლენა და მათი გასწორება

- სამსახური გაეცნობა შერჩეულ ანგარიშგებებს და განიხილავს მათ შესაბამისობას კანონით მოთხოვნილ სტანდარტთან. განხილვის არეალი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ დოკუმენტში გამჟღავნებული პრიორიტეტული საკითხებით.
- სამსახური, ანგარიშგებაში გამოვლენილი უზუსტობების დაზუსტების მიზნით, სუბიექტს გაუგზავნის წერილს შესაბამისი განმარტებების მისაღებად.
- სუბიექტთან კომუნიკაციის საფუძველზე დადგინდება სტანდარტებთან შესაბამისი საკითხთა სია. ასევე, საკითხთა პრიორიტეტულობისა და არსებითობის გათვალისწინებით, განისაზღვრება სამსახურის პოზიცია იმის თაობაზე, თუ როდის უნდა გაასწოროს საწარმომ შეუსაბამობები - უკვე წარდგენილ და გასაჯაროებულ, თუ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებაში.
- სუბიექტმა თავის მხრივ სამსახურს უნდა შეატყობინოს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ, რა პერიოდში მოხდება აღნიშნული საკითხების გათვალისწინება/გამოსწორება ანგარიშგებაში.
- იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი არ თანამშრომლობს სამსახურთან, სამსახური ვალდებული იქნება მის მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრირების ზომები.

კომუნიკაცია ფედერაციის/რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტების ანგარიშგებასთან დაკავშირებით

კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.“ შემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტს ჰყავს მარეგულირებელი, საზედამხედველო ორგანო, ამ დოკუმენტში აღწერილი პროცესები განხორციელდება შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან კოორდინაციაში.